

# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო

## სასწავლო უნივერსიტეტი

### საბაკალავრო პროგრამა

ფაკულტეტის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის
პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
პროგრამის ხელმძღვანელი	ასოცირებული პროფესორი ირაკლი ჩაგანავა მობ; 598104539 , ელ ფოსტა : irakli@scientist.com
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 ECTS კრედიტი 8 სემესტრი (1 ECTS კრედიტი =25 საათი)
პროგრამის შემუშავების თარიღი	პროგრამა დამტკიცებულია 18.03.2015წ.
სწავლების ენა	ქართული ენა

#### პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა მით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (სპორტული ნორმატივების ჩაბარება საერთო ფიზიკურ მომზადებაში) წარმატებით ჩაბარების შემდეგ გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე. ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - კანონით დადგენილი წესის შესაბამისად (უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებს).

ინფორმაცია სპორტული ტურის ჩატარების შესახებ აღწერილია 2014-2015 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების სპორტული ტურის დებულებაში, რომელიც საჯაროა - ეგზავნება ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრს და განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: sportuni.ge

#### პროგრამის მიზანი:

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრების მომზადება სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და წარმატებული კონკურენციისათვის აუცილებელი კომპეტენციების შექმნა. სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.
- უზრუნველყოს თანამედროვე სამეცნიერო ცოდნისა და ტექნოლოგიური წინსვლის შესაბამისი განათლება;
- სტუდენტებს შეასწავლოს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საფუძვლები, ის მოვლენები და კანონები, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს;
- სტუდენტებმა აითვისონ ის ძირითადი მეთოდები, რომლებიც მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და დისფუნქციის პრევენციისაკენ;
- თანამედროვე მეთოდოლოგიური და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და სარეაბილიტაციო საშუალებების უზრუნველყოფა ადამიანის ფუნქციონალური მზადყოფნისათვის;
- ტრავმების დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის სხვადასხვა მეთოდებისა და საშუალებების შერჩევისა და კომპლექსური გამოყენების პრინციპების შესწავლა;
- ფიზიკური დატვირთვისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის მეთოდები, ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების გავლენა სპორტსმენის ორგანიზმზე, სპორტში ტრავმების პრევენცია, პირველადი დახმარების აღმოჩენა ტრავმების დროს;
- რეაბილიტაციის პროცესის მართვა, სპორტსმენების რაციონალური დაბალანსირებული კვების პრინციპები;
- ტრავმის შემდგომ პერიოდში დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით სპორტსმენების სპორტულაქტივობებში ჩართვის ხელშეწყობა; ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამების შემუშავება;
- დაავადებათა პროფილაქტიკისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად რეკომენდაციების შემუშავება და მონიტორინგი.
- ისეთი კურსდამთავრებულის გამოშვება, რომელიც ფლობს კვლევის ელემენტებს და შეუძლია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და გარკვეული შედეგების დადება.

## პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 4 წლიანი და მოიცავს 240 კრედიტს,

4 სასწავლო კურსი შედგება რვა სემესტრისაგან;

სემესტრში 30 კრედიტი;

წელიწადში 60 კრედიტი.

კრედიტის ეკვივალენტობა საათებში: 1 ECTS = 25 საათი

ერთი აკადემიური წელი : 38 კვირა. სემესტრის ხანგრძლივობა: 19 კვირა.

კრედიტის მოცულობა განისაზღვრება ასტრონომიული საათით (60 წუთი).

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის სასწავლო დისციპლინათა შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

- **ზოგადი კურსების ბლოკი - (33 კრედიტი )** უვითარებს სტუდენტს სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს. ამზადებს საბაკალავრო ნაშრომის დასაწერად. უმუშავებს სტუდენტებს სხვადასხვა სიტუაციებში განსხვავებულ საკითხებზე უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით ინფორმაციის მოპოვების უნარებს.
- **ბიოლოგიური კურსების ბლოკი - (60 კრედიტი)** შეასწავლის სტუდენტს ადამიანის ორგანოებისა და მათი სისტემების ინდივიდუალური განვითარების თავისებურებებს; უჯრედული ფუნქციების კავშირს ორგანოთა სისტემებთან; ორგანიზმისზრდა-განვითარების თავისებურებებს. ადამიანის ჰომეოსტაზის რეგულიაციას; ზოგადი და კერძო დინამიური მორფოლოგიის ძირითად მიმართულებებს. ადამიანის ორგანიზმის გარემო ფაქტორებზე რეაგირების მექანიზმებს; ცოცხალი ორგანიზმების ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებებს, ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე პროცესებს და მექანიზმებს, ბიომრავალფეროვნების საფუძვლებს.
- **საბაზისო კურსების ბლოკი (29 კრედიტი)** აცნობს სტუდენტებს ადამიანის ორგანიზმის და ცალკეული ორგანოების ფუნქციონირების თავისებურებებს კუნთოვანი უმუშაობის დროს, მათი რეგულაციის და ადაპტაციის მექანიზმებს. შეასწავლის ტრავმული პათოლოგიით დაავადებული პაციენტების და ძვალ-სახსროვანი დაზიანებების დიაგნოსტიკას, პირველადი დახმარების აღმოჩენას - დაზიანებული სეგმენტის იმოზილიზაციას. ორგანიზმის ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარებისა და ფუნქციური შესაძლებლობების კონტროლს ფიზიკური დატვირთვების პირობებში. მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვის ფიზიკური ვარჯიშებისა და დატვირთვების რაციონალურ გამოყენებას.
- **სპეციალიზაციის კურსების ბლოკი (40 კრედიტი)** აძლევს ცოდნას ფიზიკური დატვირთვების პირობებში ორგანიზმის ჯანმრთელობის, ფიზიკურ განვითარებისა და ფუნქციური შესაძლებლობების კონტროლის მექანიზმების, სპორტსმენთა ჯანმრთელობის განმტკიცება - გაუმჯობესებისა და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვის ფიზიკური ვარჯიშებისა და დატვირთვების რაციონალური გამოყენების შესახებ. აცნობს რეაბილიტაციის მეთოდებს და თანამედროვე მიღწევებს. ფიზიკური დატვირთვისადმი ორგანიზმის ადაპტაციის საფუძვლებს; ასწავლის რეაბილიტაციის სხვადასხვა მეთოდების და საშუალებების შერჩევას და კომპლექსური გამოყენების გზებს სპორტსმენთა პრევენციული რეაბილიტაციისათვის. სტუდენტს შეასწავლოს ფიზიკური შემძლეობის განვითარების საფუძვლებზე ადამიანის სხვადასხვა სისტემის ფუნქციონალური შესაძლებლობების ამაღლების, გენეტიკური პროგრამის მთლიანი რეალიზაციის, მათი სხეულის და საყრდენ - მამოძრავებელი აპარატის ხარისხობრივად აღდგენა-გამოყენების სპეციფიკურ საშუალებებს და თანამედროვე მეთოდებს. შეასწავლის ფიზიოთერაპიისა და კურორტული მკურნალობის მნიშვნელობას დაავადებათა მკურნალობის პროცესში; ფიზიოთერაპიული მკურნალობის სახეებს და თავისებურებებს;
- **სპორტული კურსების ბლოკი (24 კრედიტი)** სტუდენტს შეასწავლის სასწავლო-საწვრთნო მეცადინეობების მართვის მეთოდებს, საშუალებებსა და პრინციპებს, საერთო და სპეციალური ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბების მეთოდებს; ფიზიკური აღზრდის პროცესის ორგანიზაციის ფორმებს, მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი კონტიგენტის ფიზიკური აღზრდის თავისებურებებს. მომავალ სპეციალისტს უვითარებს, სხვადასხვა სპორტის სახეობების კონკრეტული მიზნებისა და სავარჯიშო პროცესების მიზანმიმართული ცვლილების შესაბამისად, სპორტსმენებში მოძრაობითი უნარ-ჩვევების გამომუშავების და სწავლების ხერხებსა და მეთოდებს;
- **არჩევითი საგნების ბლოკი 48 კრედიტი, ასარჩევი (24 კრედიტი).** ეს ბლოკი ითვალისწინებს როგორც

თეორიულ ისე პრაქტიკულ დისციპლინებს და სტუდენტის მიერ არჩეული საგნის სილაბუსში გაწერილია ის ძირითადი მიმართულებები და მიზნები, რომლებიც ხელს უწყობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

- **პრაქტიკა სპეციალობაში (10 კრედიტი)** - სტუდენტთა პრაქტიკის მიზანია სპეციალობის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში (საქმეში) განმტკიცება, პროფესიული უნარ-ჩვევების და დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილების მიღება. პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება პრაქტიკის პროგრამით (სილაბუსით), რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტის ინდივიდუალური დავალების შინაარსი და ვადები; პრაქტიკის მიზნები-სპეციალობის, სპეციალიზაციის და სწავლების შემდეგი საფეხურების გეგმებისა და პროგრამების გათვალისწინებით. პრაქტიკის ადგილი და პრაქტიკის გავლის თანმიმდევრობა დროის ფორმატში; სტუდენტთა მიერ პრაქტიკის ანგარიშების მომზადების და დაცვის ვადები;
- **საბაკალავრო ნაშრომი (20 კრედიტი)** - საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სპეციალობის პირველ საფეხურზე დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის აკუმულაციას, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს სტუდენტის თეორიული საბაზისო ცოდნა სპეციალობაში და მის მიერ საკუთარი შეხედულებების წარმოჩენა. ნაშრომი ასევე უნდა მოიცავდეს, მცირე კვლევით კომპონენტს, რითაც წარმოჩინდება ბაკალავრის მიერ კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვის უნარი; სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოიმუშაონ საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციისა და კრიტიკული შეფასების უნარი.

### სწავლების შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპონენტები)

<p><b>1. ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p><b>კურსდამთავრებულს ეცოდინება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. ძირითადი თეორიული კონცეფციები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პრაქტიკულ საქმიანობაში;</li> <li>▪ ცოცხალი ორგანიზმის სისტემები, მისი შემადგენელი ერთეულები, განვითარების თავისებურებები, ქსოვილები, ფუნქციები, მათი ურთიერთკავშირის კომპლექსური საკითხების გააზრება და გაცნობიერება.;</li> <li>▪ ადამიანის ფსიქიკის კანონზომიერებებისა და თავისებურებების გაცნობიერება და კონკრეტულ შემთხვევიდან გამომდინარე კრიტიკული გააზრება;</li> <li>▪ ადამიანის გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების ანატომიური აგებულება, თავისებურებები;</li> <li>▪ ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების ფიზიოლოგიური საფუძვლები როგორც უჯრედულ, ასევე ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების დონეზე;</li> <li>▪ ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე პროცესები და მექანიზმები, ფიზიკური განვითარების და ფუნქციური შესაძლებლობების ბიოლოგიური პროცესების კანონზომიერებების გაცნობიერებას.</li> <li>▪ ფიზიოთერაპიული მკურნალობის სახეები და თავისებურებები;</li> </ul>
--	---

	<p>ფიზიოთერაპიული პროცედურებისა და მკურნალობის დანიშვნის ჩვენებები და უკუჩვენებების კრიტიკული გააზრება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ადამიანის ფსიქიკის კანონზომიერებები და თავისებურებები;</li> <li>▪ ტრავმატოლოგია და ორთოპედიის ძირითადი დებულებები, ძვალ-სახსროვანი სისტემის ნორმა-ანთოპომეტრია, სახსარში მოძრაობის ამპლიტუდის განსაზღვრა და რეგისტრაცია.</li> <li>▪ ადამიანის ქსოვილებში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები;</li> <li>▪ გადაღლისა და მის შემდგომ პერიოდში ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები და მათი აღდგენის გზები და საშუალებები;</li> <li>▪ მოტორულ აქტივობასთან, სპორტულ ვარჯიშებთან და ათლეტიზმთან დაკავშირებული მწვავე და ქრონიკული დაავადებების, ტრავმების პათოლოგია და პირველადი დახმარება;</li> <li>▪ მოტორულ აქტივობასთან, სპორტულ ვარჯიშებთან და ათლეტიზმთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო მკურნალობის სახეები და საშუალებები;</li> <li>▪ ზოგადი და სპორტის ჰიგიენური ნორმები;</li> <li>▪ ადამიანის ორგანიზმზე და მის სპორტულ შედეგებზე დოპინგების ზემოქმედება და მათი დეტექციის გზები;</li> <li>▪ ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდები, მიდგომები და მათი ურთიერთკავშირის განსაზღვრა;</li> <li>▪ ადაპტური სარეაბილიტაციო ღონისძიებები და სარეაბილიტაციო საშუალებები;</li> <li>▪ რეაბილიტაციის სხვადასხვა მეთოდები და საშუალებები, მათი შერჩევის და კომპლექსური გამოყენების პრინციპები.</li> <li>▪ ფიზიკური და ქიმიური გარეგანი ფაქტორების გავლენა ორგანიზმზე და ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი შედეგები.</li> <li>▪ ადამიანის ორგანიზმის ცალკეული ორგანოებისა და ორგანიზმის, როგორც მთლიანის, ფუნქციონირების თავისებურებების ხვადასხვა ინტენსივობისა და ხანგრძლივობის ფიზიკური დატვირთვების პირობებში.</li> <li>▪ ფიზიკური დატვირთვებისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის მექანიზმები. სპორტული წვრთნის ასაკობრივი თავისებურებები;</li> <li>▪ სპორტსმენისა და მოვარჯიშე ადამიანის დიეტების, სხეულის ზომისა და შემადგენლობის, სხეულის მასის შეფასება კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით;</li> <li>▪ მასაჟის ადგილი და მნიშვნელობა, ორგანიზმზე მასაჟის მექანიზმის ზემოქმედება. მისი მნიშვნელობა კუნთების ტონუსის შენარჩუნებისათვის;</li> <li>▪ რაციონალური და ბალანსირებული კვების ძირითადი პრინციპები, მათი შეფასების მეთოდები და საკვები პროდუქტის ჰიგიენური ექსპერტიზა;</li> <li>▪ სხვადასხვა პათოლოგიების შემთხვევაში სარეაბილიტაციო ღონისძიებების ეფექტიანად გატარება;</li> <li>▪ პროფესიული პასუხისმგებლობის შეცნობა და პროფესიული ეთიკის ნორმების მაგალითის მოყვანა.</li> </ul>
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ <b>კურსდამთავრებული შეძლებს:</b> ცოცხალი ორგანიზმის განვითარების, უჯრედული ორგანიზაციის პრინციპების, ცხოველმოქმედების მოლეკულური მექანიზმებისა და გენეტიკური კანონების ახსნას;</li> <li>▪ გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების აგებულებისა და მათი</li> </ul>

<p><b>უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ურთიერთკავშირის აღწერას;</li> <li>▪ სხვადასხვა ტრავმების პროფილაქტიკას, ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასებას და მკურნალობის მეთოდების განსაზღვრას;</li> <li>▪ ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებას რეაბილიტაციის მიზნით;</li> <li>▪ არტერიული წნევის, პულსის, სუნთქვის სიხშირისა და ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის გასინჯვას;</li> <li>▪ სხვადასხვა ტრავმების დიაგნოსტიკას და პროფილაქტიკას;</li> <li>▪ სახსარებში მოძრაობის ამპლიტუდის განსაზღვრას და რეგისტრაციას;</li> <li>▪ ადაპტური სარეაბილიტაციო საშუალებების სწორად შერჩევას;</li> <li>▪ მოზარდების ასაკობრივი, სქესობრივი და ფუნქციური შესაძლებლობების გათვალისწინებით სპეციალური დატვირთვების და რეგულირებას და მათი ინტენსივობის განსაზღვრას;</li> <li>▪ სპორტსმენის რაციონში საკვები ნივთიერებების ბალანსირებულობის განსაზღვრას;</li> <li>▪ საწვრთნო, აღმდგენი და ჰიგიენური მასაჟის ჩატარებას;</li> <li>▪ ისეთი ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამების შემუშავებას, რომლებიც შეამცირებენ მოსალოდნელი ტრავმების პროცენტულ მაჩვენებელს;</li> <li>▪ დაავადებათა პროფილაქტიკის ინდივიდუალური რეკომენდაციების შერჩევას და გამოყენებას;</li> <li>▪ უსაფრთხოების წესების დაცვას, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიცირებას და სიტუაციის მართვას კომპეტენციის ფარგლებში.</li> <li>• სპორტის პრაქტიკაში დამახასიათებელი და საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პათოლოგიური მდგომარეობის იდენტიფიცირებისათვის, მისი შეფასება და ადრეული დიაგნოსტიკა;</li> <li>• რეაბილიტაციის სხვადასხვა მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა და გამოყენება კონკრეტული დაზიანებიდან გამომდინარე;</li> </ul>
<p><b>3. დასკვნის უნარი</b></p>	<p><b>კურს დამთავრებულს შეეძლება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სპორტის პრაქტიკაში სპორტსმენებში პათოგენეზური მონაცემების შეგროვება და განმარტება, პათოლოგიური მდგომარეობის იდენტიფიცირებისათვის დასაბუთებული დასკვნის გაკეთება;</li> <li>• კონკრეტული დაზიანების ანალიზი და ამის საფუძველზე რეაბილიტაციის სხვადასხვა მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა და გამოყენება;</li> </ul>
<p><b>4. კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p><b>კურს დამთავრებულს შეეძლება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ პროფესიულ საზოგადოებაში, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი პოზიციების დაცვა და აზრის ჩამოყალიბება.</li> <li>▪ მშობლიურ ენაზე წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა.</li> <li>▪ პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მოლაპარაკებების, პრეზენტაციების და შეხვედრების წარმართვა.</li> <li>▪ მიზნობრივად ინფორმაციის მოძიება, შენახვა და მისი რელევანტურად გამოყენება;</li> <li>▪ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაციის უნარი ახალ გარემოში.</li> </ul>
<p><b>5.სწავლის უნარი</b></p>	<p><b>კურს დამთავრებულს შეეძლება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სწავლის პერიოდში, საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით, სწორი მიმართულების განსაზღვრას, საწავლო პროცესში ორიენტირებას,სასწავლო საგნების კუთხით არჩევანის გაკეთებას საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით.</li> <li>▪ სწავლის დამოუკიდებლად განხორციელებას, სწავლების პროცესის თავისებურებების გათვალისწინებას და სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობას, მეცნიერების სიახლეების მიდევნებას და ცოდნის მუდმივად განახლებას;</li> <li>▪ საკუთარი სწავლის შეფასებას და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრას;</li> <li>▪ საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით მოიძიოს ინფორმაცია და გაიმდიდროს ცოდნა;</li> <li>▪ გაიაზროს უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა.</li> <li>▪ შეაფასებს საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს და შეძლებს ცოდნის გაფართოებას საჭირო მიმართულებით.</li> </ul>
<p><b>6.ღირებულებები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაცნობიერებული აქვს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების და დისფუნქციის პრევენციის მოთხოვნებისადმი.</li> <li>• შეაფასებს საკუთარი თავისა და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის და მახასიათებელ ღირებულებებთან.</li> <li>▪ იცის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამსახურის აუცილებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება/აღდგენისა და პროფილაქტიკისათვის;</li> <li>▪ ჰიგიენური ნორმების დაცვის აუცილებლობა ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და დაავადებების პრევენციისათვის;</li> <li>▪ მონაწილეობას მიიღებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში.</li> <li>▪ შეძლებს პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებასა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობას.</li> <li>▪ მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს.</li> <li>▪ განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</li> <li>▪ იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს პროფესიული საქმიანობის წარმოების პროცესში;</li> </ul>
<p><b>სწავლის ფორმატი</b></p>	

სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები.

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია;
- ბლიც გამოკითხვა;
- სემინარი;
- კონსულტაცია.
- ქვიზი;
- დებატები/დისკუსია;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- ტესტი;
- ანალიზი;
- სიტუაციური ამოცანა;
- მოძიებული სასწავლო/ინოვაციური მასალის განხილვა;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
- საბაკალავრო ნაშრომი.
- ალბომის წარმოება;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
- შესრულებული სამუშაოს უთიერთშეფასება;
- შუალედური შემოწმება;
- დასკვნითი გამოცდა;

### სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- ბიბლიოთეკა
- სადემონსტრაციო დარბაზი
- აუდიო (ვიდეო) აპარატურა
- საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი
- სპორტის სახეობების მიხედვით შესაბამისი ინფრასტრუქტურით გაწყობილი სასწავლო-საწვრთნელი შენობები: სტადიონი, დარბაზები, საცურაო აუზი, ტრენაჟორების დარბაზი, კორტები

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) ( **A** ) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91%–100%;
- ა.ბ) ( **B** ) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) ( **C** ) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) ( **D** ) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) ( **E** ) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.



**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - სემესტრული შეფასება, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

**სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.**

სემესტრული შეფასების 60 ქულიდან 40 ქულა განსაზღვრულია სტუდენტის ცოდნის ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით შეფასებაზე, ხოლო 20 ქულა შუალედურ შემოწმებაზე.

**სემესტრული შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდა გამომდინარე**

**სემესტრული შეფასების კომპონენტებია:**

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია
- ალბომის წარმოება
- ბლიც გამოკითხვა
- ანალიზი
- ლაბორატორიული სამუშაო
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება
- ტექნიკური უნარების დემონსტრირება
- ქვიზი

**შუალედური შემოწმება:** ტარდება ტესტის სახით.

**დაკვნიითი გამოცდა:** ტარდება ტესტის სახით.

**სწავლის გაგებლების შესაძლებლობა**

ბაკალავრს, რომელმაც ისწავლა მწვრთნელთა ფაკულტეტზე შეუძლია სწავლა და კვლევითი მუშაობა გააგებლოს მაგისტრატურაში.

**დასაქმების სფერო**

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლო სფეროებია საჯარო და კერძო სექტორები, სპორტული ფედერაციები, კლუბები, გამაჯანსაღებელი და ფიტნეს კლუბები, სპორტული დისპანსერები, ჯანდაცვის ნებისმიერი ობიექტები.

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები (ჩართული ინტერნეტ ქსელში); სპორტული დარბაზები, მოედნები, საცურაო აუზები თეორიული მზადებისათვის – სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორია.

**პროგრამის სრულფასოვნად ათვისებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე ვთანამშრომლობთ:**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და სპორტის სახეობების ეროვნულ ფედერაციებთან.

### პროგრამა

სასწავლო კურსები	სტატუსი (სავალდებულო / არჩევითი)	ECTS კრედიტი/ სემესტრი	საკონტაქტო საათების რაოდენობა	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამედიცინო ბიოლოგია 1	ს	4 (I)	47	X	X	X	X	X	
სამედიცინო ბიოლოგია 2	ს	4 (II)	47	X	X	X	X	X	
ლათინური ენა, სამედიცინო ტერმინოლოგია	ს	3 (I)	47	X	X		X	X	
უცხოენა (ინგლისური) – I	ს	5 (I)	47	X	X		X	X	X
უცხო ენა (ინგლისური) – II	ს	5 (II)	47	X	X		X	X	X
აკადემიური წერა	ს	5 (I)	47	X	X		X		
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ს	5 (II)	47	X	X	X	X	X	
ადამიანის ანატომია- I	ს	5 (I)	47	X	X		X	X	
ადამიანის ანატომია - II	ს	5 (II)	47	X	X		X	X	
სამედიცინო ქიმია	ს	4 (I)	47	X	X	X	X	X	
კორექციული ტანვარჯიში და ფიზიკური ვარჯიშებით რეაბილიტაცია	ს	3(II)	47	X	X		X	X	
ბიოქიმია	ს	4 (II)	47	X	X		X	X	
ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდოლოგია	ს	5 (III)	47	X	X	X	X	X	X
ადამიანის ფიზიოლოგია1	ს	5 (III)	47	X	X	X	X	X	X

პათოლოგიური ანატომია	ს	5 (III)	47	X	X	X	X	X	
სპორტული მორფოლოგია	ს	4 (III)	47	X	X	X	X	X	
ვალეოლოგია	ს	4 (III)	47	X	X		X	X	
ბიოფიზიკა	ს	3 (III)	47	X	X		X	X	
სპორტის ბიოქიმია	ს	6 (IV)	47	X	X		X	X	
ადაპტური სპორტი	ს	4 (IV)	47	X	X	X	X	X	
ადამიანის ფიზიოლოგია 2	ს	6 (IV)	47	X	X	X	X	X	X
შესავალი სპეციალობაში	ს	6 (IV)	47	X	X			X	
მომრავი თამაშები	ს	4 (IV)	47	X	X			X	
სპორტის ფიზიოლოგია	ს	5 (V)	47	X	X	X	X	X	X
ცურვა	ს	4 (V)	47	X	X			X	
შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა	ს	6 (V)	47	X	X	X	X	X	X
ზოგადი და სპორტის ჰიგიენა	ს	6 (V)	47	X	X	X	X	X	X
ბიომექანიკა	ს	5 (V)	47	X	X	X		X	
სპორტული მედიცინა და საექიმო კონტროლი	ს	5 (VI)	47	X	X	X	X		
ზოგადი და სპორტის ფსიქოლოგია	ს	5(VI)	47	X	X	X	X	X	X
ფარმაკოლოგია	ს	6 (VI)	47	X	X	X	X	X	
პირველადი დახმარება გადაუდებელი მდგომარეობების დროს	ს	4 (VI)	47	X	X	X	X	X	
ჯანდაცვის მენეჯმენტი	ს	6 (VI)	47	X	X	X	X	X	
ფიზიოთერაპია	ს	5 (VII)	47	X	X	X	X	X	
ტრავმატოლოგია და ორთოპედია	ს	5 (VII)	47	X	X	X	X	X	X
სპორტული მედიცინა და რეაბილიტაცია	ს	5 (VII)	47	X	X	X	X	X	

მეცნიერული კვლევის მეთოდები	ს	5 (VII)	47	X	X	X	X	X	X
დოპინგი	ს	4 (VII)	47	X	X	X	X		
მასაჟი	ს	5 (VII)	47	X	X	X	X		
პრაქტიკა სპეციალობაში	ს	10 (VIII)	47	X	X	X	X	X	
საბაკალავრო ნაშრომი	ს	20 (VIII)	47	X	X	X		X	
სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია	ა	4 (I)	47	X	X	X	X	X	
ბუნებით სარგებლობა, ეკოლოგია	ა	4 (I)	47	X	X	X	X		X
საერთაშორისო სპორტის დიპლომატიური საფუძვლები	ა	4(II)	47	X	X			X	
სამოქალაქო განათლება	ა	4(II)	47	X	X	X	X	X	
საქართველოს საგარეო კურსი- ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში	ა	4(III)	47	X	X	X	X	X	
კალათბურთი	ა	4(III)	47	X	X				X
ფიზიკური და კოგნიტური დარღვევები და მათი რეაბილიტაცია	ა	4(VI)	47	X	X	X	X	X	
ფიტნესი და წონის კორექცია	ა	4(VI)	47	X	X		X	X	
კვება, დიოტოლოგია	ა	4(V)	47	X	X	X	X	X	
რუსული ენა	ა	4(V)	47	X	X	X	X		X
ბიოსამედიცინო ეთიკა	ა	4(VI)	47	X	X	X	X	X	
მედიცინა ანტიკურ სამყაროში	ა	4(VI)	47	X	X	X	X		X